

## შპს „სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                  | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....         | 3 |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                                  |   |
|------------------------------------------------------------------|---|
| 1. კორპორატიული ინფორმაცია.....                                  | 4 |
| 2. მომზადების საფუძველი.....                                     | 4 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....            | 4 |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....        | 7 |
| 5. ამონაგები რეალიზაციიდან.....                                  | 8 |
| 6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები ..... | 8 |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                       | 8 |
| 8. საგადასახადო აქტივი .....                                     | 8 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                              | 9 |
| 10. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                            | 9 |
| 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 9 |

შპს "სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                         |          | 2021              | 2020              |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                                         | შენიშვნა | (არააუდიტირებული) | (არააუდიტირებული) |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან                       | 5        | 10,937,336        | 9,286,111         |
| მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები | 6        | (9,836,742)       | (8,093,245)       |
| საერთო მოგება                                           |          | 1,100,594         | 1,192,866         |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                       | 7        | (1,805,202)       | (1,149,464)       |
| საოპერაციო მოგება/(ზარალი)                              |          | (704,608)         | 43,402            |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                |          | (5,516)           | (19,239)          |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან                           |          | 120,884           | 794,903           |
| მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე                |          | (589,240)         | 819,066           |
| მოგების გადასახადი                                      |          | -                 | -                 |
| წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)                          |          | (589,240)         | 819,066           |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს:

ა. დავითიძე  
მმართველი დირექტორი

შპს "სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                         |          | 2021              | 2020              |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                                         | შენიშვნა | (არააუდიტირებული) | (არააუდიტირებული) |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან                       | 5        | 10,937,336        | 9,286,111         |
| მომსახურების გაწევისთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები | 6        | (9,836,742)       | (8,093,245)       |
| <b>საერთო მოგება</b>                                    |          | <b>1,100,594</b>  | <b>1,192,866</b>  |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                       | 7        | (1,805,202)       | (1,149,464)       |
| <b>საოპერაციო მოგება/(ზარალი)</b>                       |          | <b>(704,608)</b>  | <b>43,402</b>     |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                |          | (5,516)           | (19,239)          |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან                           |          | 120,884           | 794,903           |
| <b>მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე</b>         |          | <b>(589,240)</b>  | <b>819,066</b>    |
| მოგების გადასახადი                                      |          | -                 | -                 |
| <b>წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>                   |          | <b>(589,240)</b>  | <b>819,066</b>    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს:

ალექსანდრე დავითიძე  
მმართველი დირექტორი

**შპს “სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს”**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               |          | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
|                                               | შენიშვნა | (არააუდიტირებული)    | (არააუდიტირებული)    |
| <b>აქტივები</b>                               |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                          |          | 72,649               | 47,175               |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 844                  | 844                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>73,493</b>        | <b>48,019</b>        |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                      |                      |
| მარაგები                                      |          | 627                  | 373                  |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                      |          | 80,891               | 59,981               |
| საგადასახადო აქტივი                           | 8        | 20,315               | 45,994               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 9        | 691,220              | 6,385,292            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 10       | 1,132,851            | 574,773              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>1,925,904</b>     | <b>7,066,413</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>1,999,397</b>     | <b>7,114,432</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 497,425              | 497,425              |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 229,828              | 5,383,129            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>727,253</b>       | <b>5,880,554</b>     |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                      |                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 11       | 1,272,144            | 1,233,878            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>1,272,144</b>     | <b>1,233,878</b>     |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>1,999,397</b>     | <b>7,114,432</b>     |

## შპს "სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს"

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)               | საწედბო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|---------------------------------|---------------------|-------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        | <b>497,425</b>      | <b>4,564,063</b>        | <b>5,061,488</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი | -                   | 819,066                 | 819,066          |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>        | <b>497,425</b>      | <b>5,383,129</b>        | <b>5,880,554</b> |
| გამოცხადებული დივიდენდი         | -                   | (4,564,061)             | (4,564,061)      |
| მიმდინარე წლის სრული ზარალი     | -                   | (589,240)               | (589,240)        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>        | <b>497,425</b>      | <b>229,828</b>          | <b>727,253</b>   |



## **1. კორპორატიული ინფორმაცია**

სიჯეი აისიემ ლოჯისტიკსი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2012 წლის 6 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 401976803.

**ძირითადი საქმიანობა.** შპს “სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს”-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება. კომპანია მოქმედებს სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში, ასევე ეწევა საბაჟო მომსახურებას.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №34, პიქსელ ბიზნეს ცენტრი, სართული №4.

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს შპს „იბრაჰიმ ლოჯისტიკ ჰიზმეთლერი, თურქეთი“ ფლობს.

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

## **2. მომზადების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს ოპერაციებს.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

**ძირითადი საშუალებები.**

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| <b>ჯგუფი</b>       | <b>სასარგებლო მომსახურების</b> |
|--------------------|--------------------------------|
|                    | <b>ვადა</b>                    |
| ტრანსპორტი         | 5-10                           |
| ავეჯი              | 2-10                           |
| ოფისის აღჭურვილობა | 2-10                           |

**არამატერიალური აქტივები.**

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

| <b>ჯგუფი</b> | <b>სასარგებლო მომსახურების ვადა</b> |
|--------------|-------------------------------------|
| სხვა         | 5-10 წელი                           |

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესყიდვის ყველაწარმოებელი დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია პრობლემატური ან ვადაგადაცილებული მოთხოვნები და შესაბამისად არ მომხდარა შესაბამისი ანარიცხის გაკეთება.

**წინასწარი გადახდები.** წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია

აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც

ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც

## შპს "სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს"

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

#### 5. ამონაგები რეალიზაციიდან

|                                     | 2021              | 2020             |
|-------------------------------------|-------------------|------------------|
| შემოსავალი სახმელეთო გადაზიდვებიდან | 6,348,821         | 6,754,531        |
| შემოსავალი საზღვაო გადაზიდვებიდან   | 4,588,515         | 2,531,580        |
| <b>ჯამი</b>                         | <b>10,937,336</b> | <b>9,286,111</b> |

#### 6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

|                            | 2021               | 2020               |
|----------------------------|--------------------|--------------------|
| სახმელეთო გადაზიდვის ხარჯი | (5,424,355)        | (5,665,733)        |
| საზღვაო გადაზიდვის ხარჯი   | (4,412,387)        | (2,427,512)        |
| <b>ჯამი</b>                | <b>(9,836,742)</b> | <b>(8,093,245)</b> |

#### 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                      | 2021               | 2020               |
|--------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი | (789,088)          | (711,765)          |
| საგადასახადო ხარჯი                   | (501,799)          | (3,522)            |
| საკონსულტაციო ხარჯები                | (196,452)          | (195,161)          |
| საიჯარო ქირა                         | (153,406)          | (153,947)          |
| სატრანსპორტო ხარჯები                 | (15,538)           | (15,489)           |
| დაზღვევის ხარჯი                      | (14,083)           | (20,676)           |
| საყოფაცხოვრებო ხარჯები               | (10,100)           | (6,920)            |
| კომუნიკაციის ხარჯები                 | (9,933)            | (10,016)           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                 | (9,385)            | (11,585)           |
| ბანკის საკომისიო                     | (9,072)            | (7,926)            |
| საკანცელარიო ხარჯები                 | (3,417)            | (2,773)            |
| სხვა ხარჯები                         | (92,928)           | (9,684)            |
| <b>ჯამი</b>                          | <b>(1,805,202)</b> | <b>(1,149,464)</b> |

#### 8. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

შპს "სიჯეი აისიემ ლოჯისტიკს"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                   | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                | 678,347              | 6,371,964            |
| გადახდილი ავანსები                | 12,873               | 13,328               |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>691,220</b>       | <b>6,385,292</b>     |

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                              | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში  | 935,454              | 563,094              |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 197,397              | 11,679               |
| <b>ჯამი</b>                  | <b>1,132,851</b>     | <b>574,773</b>       |

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                       | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 1,167,297            | 1,129,031            |
| გადასახდელი ხელფასები | 104,847              | 104,847              |
| <b>ჯამი</b>           | <b>1,272,144</b>     | <b>1,233,878</b>     |